

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #76

ქ. თბილისი

2020 წელი, 15 დეკემბერი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, თევდორე ისაკაძე, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიშკარიანი, დავით ჭელიძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გიორგი გაბაშვილი (03-0320349125 –14.12.2020), ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (03-03203504 – 15.12.2020)

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

| № | საკითხის დასახელება |
|----|--|
| 1. | ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ამხ. „ღრმაღელეს“ (ს/ნ 100189911) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03203431-03 - 08.12.2020) |
| 2. | ქ. თბილისში, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დაკიდებული ბაღების“ (ს/კ 212272869) და შპს „გელოვანის“ (ს/კ 405411157) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03203431-03 - 08.12.2020) |

| | |
|----|--|
| 3. | „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032034567-03 - 11.12.2020 – 20.1449.1796; №12-032034567-03 - 10.11.2020 – 20.1449.1796) |
| 4. | ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N 01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე. (საკრებულოს №12-032035013-03 - 15.12.2020 – N20.1479.1809) |
| 5. | ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. "ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.052; N01.20.01.010.055; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.085; N 01.20.01.010.469; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.137; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.115; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.438; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.047) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032035012-03 -15.12.2020 – N20.1479.1813) |

| | |
|----|---|
| 6. | ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032035011-03 -15.12.2020 – N20.1478.1810) |
| 7. | „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032035014-03 -15.12.2020 – N20.1477.1811) |

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა კომისიის დაწყებამდე სიტყვა ითხოვა კომისიის თავმჯდომარისგან. მისი თქმით, გამომდინარე იქიდან რომ კომისიის ფორმატში არ ხდება მისი სამართლიანი და ობიექტური შენიშვნების თუ მოსაზრებების გათვალისწინება, კომისიაზე განსახილველად გამოტანილ საკითხებზე თავს იკავებს.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ამხ. „ღრმალელეს“ (ს/ნ 100189911) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03203431-03 - 08.12.2020)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა. მისი თქმით, აღსანიშნავია, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი- „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის #20.1445.1783 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ამონაწერი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N9 ოქმიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის #20.1445.1783 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა ამხანაგობა „ღრმაღელემ“ და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. მთავრობის განკარგულების მიხედვით, კომისიამ 2020 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე, განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა მრავალი ფაქტობრივი გარემოება და შესაბამისად იმის გათვალისწინებით რომ ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია მრავალი კეთილსინდისიერი პირი და რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არის მაღალი საზოგადოებრივი და სახლემწიფო ინტერესი, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია თბილისის მთავრობაზე საკითხის გასვლას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 10.1-ით; ბ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ესკიზური გადაწყვეტისა და სართულის გეგმის შესაბამისად, სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად; გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) და ავტოსადგომების რაოდენობის გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით; ვ) განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნებისა, მათ შორის საცხოვრებელ ბინებში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობისა და ავტოსადგომების ზომებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა; ზ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის

2020 წლის 4 დეკემბრის N9 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება მოხდეს შპს „არქი გურამიშვილი“-სა და ამხანაგობა „ღრმაღელე“-ს შორის 2020 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ამხანაგობა „ღრმაღელესთვის“ გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში; თ) ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 4 დეკემბრის N9 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას ამხანაგობა „ღრმაღელეს“ მიერ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. ქ. თბილისში, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დაკიდებული ბაღების“ (ს/კ 212272869) და შპს „გელოვანის“ (ს/კ 405411157) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03203431-03 - 08.12.2020)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, აღსანიშნავია რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი- „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის #20.1445.1784 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ამონაწერი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N10 ოქმიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის #20.1445.1784 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შ.პ.ს. „დაკიდებული ბაღებმა“ და მოითხოვა მისამართზე - ქ.

თბილისში, იასამნის ქ. #4 (ს/კ: 01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. მთავრობის განკარგულების მიხედვით, კომისიამ 2020 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე, განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა მრავალი ფაქტობრივი გარემოება და შესაბამისად იმის გათვალისწინებით რომ ე.წ. ცენტრპონტის საქმეში დაზარალებულია მრავალი კეთილსინდისიერი პირი და რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არის მაღალი საზოგადოებრივი და სახლემწიფო ინტერესი, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია თბილისის მთავრობაზე საკითხის გასვლას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა: ა) შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს - 6.5-ით; ბ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად; გ) ავტოსადგომების რაოდენობის გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად; დ) განმცხადებლების სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა საცხოვრებელ ბინებში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობისა; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; ვ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით; ზ) დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 7 დეკემბრის N10 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება შპს „დოკის“ და შპს „შაკო-92“-ის მიმართ განხორციელდეს შპს „დაკიდებულ ბაღებსა“ და შპს „გელოვანს“ შორის შორის 2020 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, შპს „დაკიდებული ბაღებისთვის“ გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში; თ) ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით, კლიენტთა სიის გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს „დაკიდებულ ბაღებსა“ და შპს „გელოვანს“ შორის 2020 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, შპს „დაკიდებული ბაღებისათვის“ გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში; ი) ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და მისი

ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე შპს „გელოვანი“-ს მიერ წარმოდგენილ იქნას „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სასარგებლოდ, სამშენებლო ღირებულების (\$16,276,500), 10%-ის - 1 627,650 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - ოდენობით (გარანტიის გაცემის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთანავე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 4 თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ვადას; კ) იმ შემთხვევაში თუ შპს „გელოვანი“ დაარღვევს მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ მშენებლობის გეგმა-გრაფიკს და სამშენებლო ვადებს მინიმუმ 3 თვით, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გამოთხოვილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ. ამასთან, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გამოყენებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების კლიენტთა/ დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით; ლ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს დაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით შპს „გელოვანთან“ გააფორმოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ხელშეკრულება შპს „გელოვანი“-ს მიერ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის შესახებ. ამასთანავე, საბანკო გარანტია შენახულ (ან დაცულ) იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032034567-03 - 11.12.2020 – 20.1449.1796; №12-032034567-03 - 10.11.2020 – 20.1468.1807)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032034567-03 -11.12.2020 – 20.1449.1796; №12-032034647-03 - 10.11.2020 – 20.1468.1807) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 6 წინადადება, კერძოდ:

№12-032034567-03 -11.12.2020 – 20.1449.1796

ა) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.406 და მის მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 15 სექტემბრის N18-01202593805 და 2020 წლის 2 დეკემბრის N01203372430 წერილების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.14.16.015.406 საკადასტრო ერთეულზე და მის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე სივრცეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე დადგენილი ზონირება არ შეესაბამება არსებულ რეალობას. შესაბამისად, სამშენებლო განვითარება მიზანშეწონილია სარეკრეაციო სივრცის ფუნქციით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/ რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.406 და მის მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, წიწამურის ქუჩა N17-ში (ნაკვეთი N10/13) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.010.013) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2020 წლის 28 ოქტომბრის N0120302895 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომელიც გადადის N01.12.12.010.013 საკადასტრო ერთეულზე, ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას და არის კერძო საკუთრება. ტერიტორია

შემოსაზღვრულია მყარი კონსტრუქციით და მასზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი. ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება N01.12.12.010.013 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წიწამურის ქუჩა N17-ში (ნაკვეთი N10/13) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.010.013) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ლუბოვსკის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.14.054.008-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იჭრება კერძო მფლობელობაში, გადადის ფაქტობრივად არსებულ საცხოვრებელ სახლზე და შესაბამისად, არ წარმოადგენს გზას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლუბოვსკის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.14.054.008-ის მიმდებარედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.06.800-ის მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის N18-01203432218 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დანართის სახით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე ((ს/კ: N81.01.06.800 -ის მიმდებარედ) განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარება და განაშენიანების ხელშეწყობა სატრანსპორტო ქვეზონის უზრუნველყოფის გზით. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.06.800-ის მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1)

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.022.198, N01.13.01.022.155, N01.13.01.022.154 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურსარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის N18-0120343222 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დანართის სახით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ამასთან, ფუნქციური ზონის ცვლილების არეალში განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ობიექტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.022.198, N01.13.01.022.155, N01.13.01.022.154 და მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია.

№12-032034647-03 - 10.11.2020 – 20.1468.1807

ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა N29-სა და N27-ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.16.06.054.002, N01.16.06.054.063) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 8 დეკემბრის N18-01203432236 წერილით, თანახმაა განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა. ამასთანავე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.16.06.054.002 და N01.16.06.054.063 საკადასტრო ერთეულებზე

ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, კვლავ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ვრცელდება. გარდა ამისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება აგრეთვე, N01.16.06.054.063 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა N29-სა და N27-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.16.06.054.002, N01.16.06.054.063) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება მისაღებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 6 წინადადება, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032035014-03 -15.12.2020 – N20.1477.1811)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361). ჯამური ფართობი 10 000 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი ძირითადად გაუნაშენიანებელია, მხოლოდ სამხრეთით არის განთავსებული რამდენიმე სასაწყობე და სამრეწველო ობიექტი. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N157 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების

შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). საპროექტო წინადადებით დაგეგმილია 1-2 სართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობებისა და ასევე, მისი ფუნქციონირებისათვის დამხმარე საოფისე შენობისა და დაცვის ჯიხურის განთავსება. შესაბამისად, დადგენილი ფუნქციური ზონა წარმოდგენილი პროექტით იცვლება სპეციალური ზონა 1- ით (სპეცზ-1). შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 10 000 კვ.მ. კ-1= - კ-2= - (სავარაუდოდ 4 340 კვ.მ.) კ-3=0,2; 2 000 კვ.მ. მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე: 1-2 სართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის N01203431131 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.19.24.007.361 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 8 დეკემბრის N01203431796 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N 01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე. (საკრებულოს №12-032035013-03 - 15.12.2020 – N20.1479.1809)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068). რეგისტრირებული ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს: 39 800 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით განთავსებულია ყოფილი საწარმოო შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ბერი გაბრიელ სალოსის გამზირიდან. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება რაგბის

მოედნები, სამხრეთით - საპატრიარქოს კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთით - სკოლა-გიმნაზია „შავნაბადა“, ჩრდილოეთით -ინდივიდუალური განაშენიანება. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელი, აღნიშნულ ქსელთან მიმართებაში საპროექტო წინადადება შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1); ნაწილობრივ კი, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება; საპროექტო წინადადებით იგეგმება წარმოდგენილი სამი საკადასტრო მიწის ნაკვეთის 39 800 კვ.მ. ფართობზე მრავალბინიანი კომპლექსის განთავსება; ასევე, დაგეგმილია არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და შიდაკვარტალური გამწვანებული ზონების საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება; საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: კ-1-0,5 კ-2-2,1 კ-3-0,3 საპროექტოდ დაგეგმილია 6 ბლოკის, 8 სართულიანი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობანაგებობის აშენება; კ-2-ის საანგარიშო ფართობი შეადგენს 85 000 კვ.მ-ს; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი 10 000 კვ.მ-ს; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის N18-01203432139 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068; N01.17.11.036.069 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 19 ნოემბრის N0120324915 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. "ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.052; N01.20.01.010.055; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.079;

N01.20.01.010.080; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.081;
 N01.20.01.010.082; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.085; N 01.20.01.010.469;
 N01.20.01.010.120; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.137;
 N01.20.01.117.154; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.097;
 N01.20.01.010.096; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.113;
 N01.20.01.010.099; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.111;
 N01.20.01.010.115; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.327;
 N01.20.01.010.349; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439;
 N01.20.01.010.084; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.180;
 N01.20.01.010.182; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.198;
 N01.20.01.010.224; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.359;
 N01.20.01.010.402; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.428;
 N01.20.01.010.429; N01.20.01.010.438; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.002;
 N01.20.01.010.465; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.003;
 N01.20.01.010.023; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.042;
 N01.20.01.010.043; N01.20.01.010.047) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ
 ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების
 რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე
 (საკრებულოს №12-032035012-03 -15.12.2020 – N20.1479.1813)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
 ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით,
 საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის
 ბაღებში“, კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის
 ნაკვეთებსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის სრული
 ფართობი: 62 464 კვ.მ. რეგისტრირებული არეალის ფართობი: 45 034 კვ.მ. და
 დაურეგისტრირებელი ტერიტორია: 18 429 კვ.მ. (აღნიშნულის ნაწილი დაკავებული აქვს
 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და სარეკრეაციო სივრცეს); როგორც საპროექტო
 არეალში, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება ინდივიდუალური საცხოვრებელი
 სახლები სრული საინჟინრო ქსელებით. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი
 ხდება მხოლოდ დ. ბათიაშვილის ქუჩის მხრიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთებამდე
 მიდის გრუნტის გზა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის
 დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15
 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური
 გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება
 სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
 სატყეო ზონა. საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება
 მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი, საგზაო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი
 ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსითა და სრულყოფილი სარეკრეაციო
 სივრცით. საპროექტო არეალის მთლიანი ფართობია: 62464 მ², აქედან
 დასაპროექტებელი ნაკვეთების საერთო ჯამური ფართობია: 44035 მ² (მათ შორის: 39807მ²

2 წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებს, ხოლო დანარჩენი - 4228 მ 2 რეგისტრირებულია სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). დანარჩენი დაურეგისტრირებელი 18429 მ 2 ფართიდან დაახლოებით 16071 მ 2 დაეთმო სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა გზას, ხოლო დარჩენილი 2358 მ 2 - სარეკრეაციო ზონას (აღნიშნული გზისა და რეკრეაციის არეალის ფართები დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე). საპროექტო არეალის დაგეგმვა ითვალისწინებს ორგანიზებული და არსებულ რელიეფთან მიმართებაში სწორად დაგეგმარებული თანამედროვე საცხოვრებელი უბნის მშენებლობას. საპროექტო ტერიტორიის ძირითად ნაწილზე დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) განვითარება, სადაც დასაშვები განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დაგეგმარება ითვალისწინებს ცალკეულ ნაკვეთებზე სხვადასხვა ტიპის (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვის) 1-2-3 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობას შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შიდა სავტომობილო გზის ნაწილში გათვალისწინებულია არსებული და საპროექტო საჯაროსამართლებრივი სერვიტუტები. საპროექტო წინადადებით ხუთი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.469; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.083 და N01.20.01.010.096.) საჭიროებს ფუნქციური ზონის ცვლილებას, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) პარამეტრებს. კერძოდ, გავრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (თუმცა განვითარდება რზ-2-ში დადგენილი კოეფიციენტების შესაბამისად). ასევე, საპროექტო წინადადებით დაგეგმილია N01.20.01.010.469 საკადასტრო ერთეულის გაერთიანება N01.20.01.010.174-თან, ხოლო N01.20.01.010.458 გაერთიანდება N01.20.01.010.473-თან. ის ნაკვეთები, რომელთა ნაწილი მოქცეულია სატყეო ზონაში და ნაწილი საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1), განვითარდებიან ამ ზონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე ასეთ ნაკვეთებში შენობა განთავსდება საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) და მათი პარამეტრები დადგინდება თითოეული ნაკვეთის საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) არსებული არეალიდან გამომდინარე. საპროექტო წინადადებით, ასევე, დაგეგმილია საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) არსებული კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილება და ადგილმონაცვლეობა, ამავე საპროექტო არეალში ფართის უცვლელად. რაც შეეხება სარეკრეაციო სივრცის ფორმირებას, ის მიღწეულია ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი მიწების და საკუთრებაში არსებული რიგი ტერიტორიების გადაადგილების/კონფიგურაციების ცვლილების შედეგად. საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სატყეო ზონა. სართულიანობა: 1; 2 და 3 სართული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით დადგენილი ფუნქციური ზონები და პარამეტრები: საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1) კ1- 0.5 კ2 – 0.8 კ3 – 0.4 სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) კ1- 0.2 კ2 – 0 კ3 – 0.8 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კ3 – 0.1 სატყეო ზონა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 11 ნოემბრის N18-01203161786 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.20.01.010.002 და

მიმდებარე 67 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 10 ნოემბრის N01203152645 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 3 ივლისის N61- 01201851040 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 1 სექტემბრის N5/47690 (რეგისტრაციის: N06-01202453283-16) წერილის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, N01.20.01.010.302; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.349 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთი შეყვანილი იქნას გეგმარებითი დავალების არეალში, იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და თქვენს მიერ წარდგენილი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა გაუარესდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდგომარეობა/ღირებულება. წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. "ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032035011-03 -15.12.2020 – N20.1478.1810)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.15.01.004.019; N01.15.01.004.022; N01.15.01.004.017; N01.15.01.004.018; N01.15.01.004.020; N01.15.01.004.021;

N01.15.01.004.024; N01.15.01.004.023) საპროექტო არეალის ფართობი: 20 000 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით არეალი გაუნაშენიანებელია, სამხრეთით გვხვდება ძირითადად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ასევე ტექნოპარკი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის საზღვრებში პრიორიტეტად განისაზღვროს ბუნებრივი ლანდშაფტების ისტორიულად შენარჩუნებული არეალების დაცვა. ტერიტორიები, რომლებიც მოცემული ზონის ფარგლებში შესაძლოა არ ან/და აღარ ატარებდეს ისტორიულ ან ლანდშაფტურ ღირებულებებს და რომელთა განვითარება/ შენარჩუნების საკითხები უკვე განსაზღვრულია დეტალური ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით ან/ და გაცემული ნებართვებით განვითარდეს ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა და ასევე შესაბამისი უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის განვითარება განსაზღვრულია „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით, წარმოდგენილი ცვლილების განხორციელებაც დასაშვებია. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაცვლად დაუდგინდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სადაც დაგეგმილი იყო 2 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ფუნქციური ზონირება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 18 232 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 1 768 კვ.მ. ფუნქცია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 18 232 კვ.მ. კ1 - 0,1 - 1 823 კვ.მ. კ2 - 0,2 - 3 646 კვ.მ. 2 სართული კ3 - 0,3 - 5 469 კვ.მ. საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანების ნაცვლად დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის, ეკოუბნის მშენებლობა. საპროექტო პარამეტრები: სზ-3 - 20 000 კვ.მ. კ1 - 0,5 - 10 000 კვ.მ. კ2 - 1,5 - 30 000 კვ.მ მაქსიმალური სიმაღლე 15 მ. კ3 - 0,3 - 6 000 კვ.მ. 4 სართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 4 დეკემბრის N01203393176 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 დეკემბრის N18-0120345492 წერილის შესაბამისად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, განმცხადებლის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს საპროექტო ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს დამატებით იმ რაოდენობით მწვანე ნარგავების დარგვა, რომ სრულად იქნას ათვისებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.15.01.004.019, N01.15.01.004.017; N01.15.01.004.022; N01.15.01.004.018; N01.15.01.004.020; N01.15.01.004.021; N01.15.01.004.023; N01.15.01.004.024 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რ. სოხაძე

რევაზ სოხაძე